ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა!

კოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი.№4 16-28 თებერვალი (9427) ფასი 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

უნებართვო გარევაჭრობის თემაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ქალაქის ცენტრალური ბაზრის დირექტორს ზაირა შენგელიას შეხვდნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს საზოგადოების მოთხოვნის გათვალისწინებით, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უნებართვო ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით. გარემოვაჭრეების გადაყვანა მოხდება ოფიციალურად დარეგისტრირებულ სავაჭრო ცენტრში, სადაც მათ ვაჭრობისთვის სათანადო პირობები შეექმნებათ. უნებართვო გარევაჭრობა გარდა იმისა, რომ კანონსაწინააღმდეგო მოვლენაა, ანტისანიტარიასთან და უსაფრთხოების სრულ უგულებელყოფასთან ასოცირდება. ამასთან, ამახინჯებს ქალაქის იერსახეს და აფერხებს მოქალაქეთა გადაადგილებას.

მყარი ნარჩენების მართვის პროექტთან დაკავშირებით

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალური ნარჩენების მართვის ექსპერტს შეხვდა. შეხვედრაზე იმსჯელეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დახვეწისა და მისი განხორციელების გზებსა და მეთოდებზე, მყარი ნარჩენების გატანისთვის ახალი ტექნოპარკის, კონტეინერებისა და შესაბამისი აპარატურა-დანადგარების შეძენის აუცილებლობაზე. მყარი ნარჩენების მართვის პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებას. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

სოციალური პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისიის სხდომა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში შედგა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამის ფარგლებში წარდგენილი განცხადებების განხილვის მიზნით შექმნილი კომისიის №2 სხდომა. სხდომა მიჰყავდა კომისიის თავმჯდომარეს - სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ლევან კუპრეიშვილს. პროგრამის ფარგლებში, წლიური ბიუჯეტით განსაზღვრულ ასიგნებათა გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 24 იანვარს და 2 თებერვალს, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან საამშენებლო მასალების შესყიდვაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომელიც დასრულდა და ამ ეტაპისთვის მიღებულ იქნა ეკონომია. პროგრამის ფარგლებში წარდგენილი განცხადებების განხილვის მიზნით შექმნილმა კომისიამ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ეკონომიის ფარგლებში დამატებით დაკმაყოფილდეს სოციალურად დაუცველი ოჯახები შესაბამისი საამშენებლო მასალებით.

სამუშაოები ახალსოფელში

ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ისულას უბანში, მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის დავალებით, შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით 200 გრძივ მეტრზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. შედეგად, წყალუხვობისას მოიხსნა მიმდებარე მოსახლეობის სახნავ-სათესი და საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საშიშროება. პარალელურად, ამავე უბანში, შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით, მოიხრეშა წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია. სამუშაოებს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრის თანამშრომლები ასრულებდნენ.

დასუფთავების აქცია სენაკში

სენაკში, რკინიგზის სადგურისა და სარკინიგზო ლიანდაგების გასწვრივ, მენჯის ყოფილ სანატორიუმში მდებარე სარკინიგზო ბაქნის და მენჯის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიებზე დასუფთავების მასშტაბური აქცია მოეწყო. აქციაში მონაწილეობდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, საქართველოს რკინიგზის დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს სამეგრელოს რეგიონის უფროსი გოდერძი ოთხოზორია, რკინიგზის დეპარტამენტის და მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის თანამშრომლები. პოლიეთილენის პარკების და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაიწმინდა ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე სალიანდაგო ხაზის მიმდებარე უბნები. დასუფთავების აქცია პერმანენტულ ხასიათს ატარებს და მომავალშიც გაგრძელდება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

უნებართვო გარევაჭრობის თემაზე

2018 წლის 19 თებერვალს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა. 1. „სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია 2. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი (ძირითადი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 სექტემბრის 44 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია. 3. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული პეტიციების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე". მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა 4. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვის შესახებ მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა 5. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ზ აფაქიძე 6. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ . მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ზ აფაქიძე 7.„სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო, საკითხთა და ეთიკის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემრის №36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ზ აფაქიძე 8. სენაკის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის№3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: კ. რუსია 9. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების ოდენობის, განსაზღვრისა და გადახდევინების წესის შესახებ" ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე„ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის №21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. კალანდარიშვილი 10. სენაკის მუნიციპალიტეტის მერისა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 აპრილის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. კალანდარიშვილი 11. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსის დამტკიცების თაობაზე" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მომხსენებელი : სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. კალანდარიშვილი.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

ენისა და პედაგოგიკის საჭირბოროტო საკითხები

(დასასრული)

დასკვნა: უკომენტაროდაც (პედაგოგიკურ-მეთოდიკურ კონცეფციათა მოუხმობლადაც) ნათელია ის, რომ არც უნარია საგანი და არც ჩვევა (ანუ უნარ-ჩვევა). იგი არის ამა თუ იმ საგნის სწავლების მაღალ დონეზე წარმართვისათვის საჭირო ერთ-ერთი (და ძირითადი) საშუალება.

მეორეც: მოკრძალებით აღვნიშნავთ, რომ დღევანდელი საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა (ჩვენდა გასაოცრად!), ალერგიული გახდა წიგნების მიმართ, რამეთუ, მისი აზრით, კომპიუტერმა შეცვალა ისინი, მაგრამ ეს ასე არ არის: მტკიცედ (და არა მექანიკური მეხსიერებით, დაზეპირებით) შეძენილი ენობრივი ცოდნის გადასვლას პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში კომპიუტერი ვერ უზრუნველყოფს (ამაზე ქვემოთ). სხვანაირად რომ ვთქვათ, წიგნის დანიშნულებას (და, საერთოდ, სასკოლო სწავლებას) ვერ შეცვლის კომპიუტერი (პრობლემურ (პრობლემურ-განმავითარებელ) სწავლებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია). მაგრამ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ კომპიუტერს სათანადო (და თანაც აუცილებელი!) დანიშნულება არა აქვს (პირიქით, კომპიუტერის გამოყენებითი სფერო ძალიან დიდია).

შევეხეთ სწავლების საკითხებს, ამიტომ მოკლედ აღვნიშნავთ (ვფიქრობთ, მკითხველთა ფართო წრისათვისაც ინტერესმოკლებული არ იქნება):

ჯერ ერთი: სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა შემეცნებით-ფსიქიკური ფუნქციების, ანუ პროცესების (აღქმის, ყურადღების, ფანტაზიის, მეხსიერების, აზროვნების, გონებრივი ოპერაციების — ანალიზის, სინთეზის, შედარების) გამოწვევა-გააქტიურებასა და ასახსნელ საკითხთა გასათვალსაჩინოებლად სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას (სწავლების ტექნიკური საშუალებებზე იხ.: А. Зелманова. Наглядность в преподавании русского языка, М., 1984, გვ. 13), მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება მათი გაუნივერსალება, რადგანაც „ადამიანი ასწავლის და ხელმძღვანელობს ადამიანს“ (ა. მიშველაძე, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის ამაღლება: ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, №7, 1983). დავსძენთ: სწავლების პროცესი გულისხმობს მასწავლებელს, მოსწავლესა და სასწავლო (შესასწავლ) ობიექტს (სასწავლო დისციპლინას). სწავლების პროცესში მთავარი (წარმმართველი), როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არის მასწავლებელი, რომელსაც ვერაფერი (ვერანაირი კომპიუტერი!) ვერ შეცვლის. ამიტომ სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ექვემდებარება მასწავლებლის წარმმართველ როლს.

მეორეც: სწავლებისას უნდა გამოვიწვიოთ ვიზუალური (მხედველობითი), აკუსტიკური (სმენითი) და მოტორული (მოძრაობითი) შეგრძნებები, სხვანაირად რომ ვთქვათ, სწავლების პროცესში ინტენსიურად ავამოქმედოთ ვიზუალური, აკუსტიკური და მოტორული მეხსიერებანი (შეგრძნების მოდალობისა და მეხსიერების ტიპების შესახებ დაწვრილებით იხ.: დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1949, გვ. 304; რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1956, გვ 271-272. . .).

მესამეც: აუცილებელია ცოდნის ხანგრძლივი შენახვის განწყობით შეძენა (საკითხის შესახებ იხ. „ნებისყოფის ფაქტორი“ წიგნებში: რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1956, გვ. 267-268; აგრეთვე, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, ა. პეტროვსკის რედაქციით, თბ., 1977, გვ. 234).

მეოთხეც: უნდა გავითვალისწინოთ შესასწავლ საკითხთა სპეციფიკა (სიმარტივე — სირთულის თვალსაზრისით), ასაკობრივი თავისებურებები (ანატომიურ-ფიზიოლოგიურად), გონებრივი აქსელერაცია და, საერთოდ, ინტელექტუალური შესაძლებლობები.

მეხუთეც: უნდა გავითვალისწინოთ სწავლების ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები.

მოკრძალებით აღვნიშნავთ: ალფა და ომეგა, რომ კომპიუტერზე დამყარებით ბავშვს არათუ სწორმეტყველების ცალკეულ საკითხებს, არამედ ვერც წერასა და ვერც კითხვას შევასწავლით. ამის ნათელსაყოფად წარმოვადგენთ ასეთ ინფორმაციებს:

- ბ-ნი ვ. რამიშვილი სწორად ბრძანებს: „წერა წერით უნდა ისწავლოს მოწაფემ“ (ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1969, გვ.117). წერის ტექნიკის (ხელის მოტორული ჩვევის) გამომუშავებისათვის, როგორც ბ-ნი ვ. რამიშვილი წერს (იქვე), უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიზანმიმართულ ვარჯიშობას. მოკრძალებით დავსძენთ, რომ მოზრდილი ადამიანი უნდა ცდილობდეს სკოლაში შემუშავებული სწორად წერის უნარ-ჩვევათა შენარჩუნებას. ამისათვის აუცილებელია (კიდევ ვამბობთ) წერის პროცესში წერის სწავლება, რომელსაც კომპიუტერი არ ითვალისწინებს.
- კითხვას მხოლოდ კითხვის პროცესში ვსწავლობთ, რასაც კომპიუტერზე დამყარებით ვერ შევძლებთ.

დასკვნა: მეტყველების კულტურის დასაუფლებლად (და, საერთოდ, ცოდნის შესაძენად) აუცილებელია როგორც ლინგვისტიკის, პედაგოგიკისა და მეთოდიკის (კერძო და ზოგადი მეთოდიკების), ისე ზოგადი, აგრეთვე, ასაკობრივი და პედაგოგიკური ფსიქოლოგიის მონაცემთა მკაცრი (მაგრამ მეცნიერული სიფრთხილით) გათვალისწინება.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ სწავლებისას უმთავრესი მაინც ცოდნის ხანგრძლივი (დიდი ხნით) შენახვის განწყობით შეძენაა. ასეთი განწყობით შეძენილი ცოდნა, როგორც სპეციალისტები ბრძანებენ (და ჩვენც ამ აზრისა ვართ), ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება.

დაბოლოს, ასეთ ინფორმაციას წარმოვადგენთ: მტრობა წიგნისა არის მტრობა მეცნიერებისა, ტექნიკისა, ხელოვნებისა, კულტურისა, თეოლოგიისა. . . რაც ასოცირდება ქვეყნის აღგვასთან პირისაგან მიწისა. იმაზე, რომ წიგნი ცოდნის შეძენის ქვაკუთხედია და, საერთოდ, სწავლა-განათლებისა და ყოველგვარი პროგრესის წყაროა, ნათლად და დამაჯერებლად მიგვანიშნებს პატრიარქის ასეთ ბრძნული ინფორმაცია: „მინდა ერთი რამ გირჩიოთ: შეიძინეთ წიგნები და იქონიეთ თქვენი ბიბლიოთეკა. როდესაც სტუდენტი ვიყავი, ერთი პროფესორი სულ გვარიგებდა, მართალია, გიჭირთ, მაგრამ ახლავე დაიწყეთ პირადი ბიბლიოთეკის შეგროვებაო. მეც ამას გისურვებთ, აუცილებლად იზრუნეთ ამაზე. . . იკითხეთ ისტორიული წიგნები, მხატვრული ლიტერატურა. ძალიან ავითარებს გონებას ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია და საღვთისმეტყველო წიგნები“ (პატრიარქის სიტყვა ეკონომიკის უნივერსიტეტში 18 მაისს, 2007წ.: საპატრიარქოს უწყებანი, 2012, №42, გვ.4).

ვფიქრობთ, პატრიარქის რჩევა-მოწოდებას მავანნი და მავანნი ყურად იღებენ და წიგნს შეიყვარებენ, თუ უნდათ, რომ გახდნენ განათლებული და თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ ჩვენი დემოკრატიის მშენებარე ქვეყნის საშვილიშვილო საქმეში.

არ ძალგვიძს აღუნიშვნელობა იმისაც, რომ „ადამიანები ვეღარ აზროვნებენ, როდესაც აღარ კითხულობენ“ (დ. დიდრო). „გიყვარდეთ წიგნი სულითა და გულით! ის არა მარტო თქვენი საუკეთესო მეგობარია, არამედ ბოლომდე ერთგული თანამგზავრიც“ (მ. შოლოხოვი). ჩვენ კი დავსძენთ: წიგნი, როგორც აზროვნების მამოძრავებელი უძლიერესი ძალა და ზებუნებრივი ძალმოსილება (არცოუ იშვიათად!), გონებით მიუწვდომელ სიმაღლესთან (ღმერთთან) გვაახლოვებს, რასაც თეოლოგიურ ლიტერატურაში თეოზისს (განღმრთობას, ღმერთთან შერთვას) ეძახიან. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ზოგიერთი ამას ვერ იცნობიერებს და, სამწუხაროდ, უწიგნური და უბედურია.

დასკვნა: მართალია, მავანთა და მავანთ კლასიკური პედაგოგიკა მეთოდიკისა და კლასიკური ასაკობრივი და პედაგოგიკური ფსიქოლოგიის დღესაც დიდად ღირებული (და საჭირო) კონცეფციები დრომოჭმულადაც და სავსებით მიუღებლად ესახებათ, მაგრამ ჩვენ ასეთ მიდგომას უმეცრების (ან კიდევ სრულიად განუვითარებელი აზროვნების!) ტოლფას კვალიფიკაციას (და მეტ სხვა არაფერს!) ვაძლევთ.

ქორა სორდია
პროფესორი.

ჩთნგუური საქართველოა, ხიმეში ჩეენ ვართ ყველანი!

კოლხეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

განცხადება

ბრძელდება ხელმოწერა გაზეთ „კოლხეთზე“ 2018 წლისათვის.

გაზეთი გამოდის 1923 წლის მაისიდან და დღემდე რჩება როგორც რეგიონის, ასე ქვეყნის მედიასფეროში უხუცეს გაზეთად. 2018 წელს „კოლხეთს“ 95 წელი უსრულდება

წარსულის პატივისცემა, მოვლენების ახლებურად დანახვა და სწორად აღქმა მუნიციპალიტეტის აღმშენებლობის წარმოჩენა. - გაზეთის ჟურნალისტების შემოქმედებითი საქმიანობა მთავარი პრინციპია.

ამასთან გაზეთი „კოლხეთი“ მზადაა ითანამშრომლოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მუშაკებთან - ხელისუფლების, ბიზნესის, კერძო და არასამთავრობო სექტორის, სასწავლო, სამედიცინო დაწესებულებების, მაკონტროლებელი, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან.

ველით თქვენს მხარდაჭერას, საქმიან წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს მუნიციპალიტეტის პრობლემებზე.

ძვირფასო მკითხველებო, უერთგულეთ 95 წლის „კოლხეთს“ გამოიწერეთ იგი. გჯეროდეთ ამით თქვენ სიცოცხლის უნარს შეუნარჩუნებთ მუნიციპალიტეტის მემატიანეს.

გაზეთ „კოლხეთის“ რედაქცია

ხსოვნა

გიორგი გარუჩავა

ხუთი წელი გავიდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღმზრდელის, დამსახურებული მასწავლებლის გიორგი ანტონის ძე გარუჩავას გარდაცვალებიდან.

გიორგი გარუჩავა მონაწილეობდა პირველი ბალტიისპირეთის, მეორე ბალტიისპირეთის, ვოლხოვოსა და ლენინგრადის ფრონტებზე, ლენინგრადის ბლოკადის მოხსნის მონაწილეს არაერთი ჯილდო ჰქონდა მიღებული. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, მედლებით საბრძოლო მამაცობისთვის, 10 საიუბილეო მედლით, სამკერდე ნიშნით ლენინგრადის განთავისუფლებისათვის.

დემობილიზაციის შემდეგ გიორგი გარუჩავა აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქ. ცხაკაიას № 4 საშუალო სკოლაში, მუშაობდა სამხედრო სწავლების და ისტორიის მასწავლებლად, დირექტორის მოადგილედ სასწავლო –აღმზრდელობით დარგში.

იყო კარგი შვილების აღმზრდელი მამა, მზრუნველი ბაბუა და დიდი ბაბუა, მოკეთე-მოყვრის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ახალგაზრდა თაობის დამკვალიანებელი.

გოგი გარუჩავა ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან. გარუჩავების ოჯახისათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო 2017 წელს შვილის სლავა გარუჩავას მოულოდნელი და ნაადრევი სიკვდილი.

სლავა ნაადრევად წავიდა იმიერ საუფლოს და უძვირფასესი მშობლების გვერდით დაიდო ბინა.

გიორგი გარუჩავა 93 წლის ასაკში გარდაიცვალა, ასაკის მიუხედავად მხნედ და ენერგიულად მიუყვებოდა წუთისოფლის გზას, პრინციპული, გონიერი, მოსიყვარულე გიორგი გარუჩავას სახელი დიდხანს იცოცხლებს შთამომავალთა და აღზრდილთა ხსოვნაში.

ოჯახი

შპს საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული სენაკელის

ზურაბ ჯორჯიკიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა“-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33

იმუნიზაციის პროგრამა

წითელა და წითურა მძიმე დაავადებებია

2018-წლის 5 თებერვალს, სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის სტატისტიკის განყოფილებისაგან მიიღო, ინფორმაცია, საქართველოში ბოლო 20-წლის განმავლობაში რეგისტრირებული წითელა-წითურას ეპიდ აფეთქებებისა და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. 2017-2018 წლის იანვრის თვის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია წითელას 102-შემთხვევა, რაც ქმნის ქვეყნის მაშტაბით დაავადების გავრცელების საშიშროებას. წითელა-წითურა ვირუსის მიმართ მაღალი მიმღებლობის ალბათობა დიდია 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებში და 5-დან 40 წლამდე ასაკის პოპულაციაზე. სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა მოსახლეობის უკეთ ინფორმირების მიზნით მოგვაწოდა კორესპონდენცია წითელასა და წითურას ეპიდემიოლოგიის, კლინიკის და გართულებების შესახებ.



წითელა ვირუსული დაავადებაა, რომელიც იწყება ძლიერი ზოგადი ინტოქსიკაციით, ტემპერატურის მომატებით 39-40 გრადუსამდე, მშრალი ხველით, კონიუქტივიტით,ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთებით-რინიტით, აღნიშნული სიმპტომები გრძელდება 3-4 დღის განმავლობაში, რომელსაც ერთვის წითელი ლაქოვან პაპულური გამონაყარი, გამოყრა იწყება სახიდან და 24-საათის განმავლობაში ვრცელდება მთელ სხეულზე, კანზე გამოყრამდე პირის ღრუში რბილ და მაგარ სასაზე აღინიშნება წითელი არასწორი კიდეების მქონე ლაქების არსებობა, რომელიც წითელას ნაადრევი სადიაგნოსტიკო ნიშანია და ცნობილია კოპლიკ-ფილატოვის ლაქების სახელწოდებით. წითელას მძიმე ფორმების დროს შეიძლება განვითარდეს სისხლდენა პირის ღრუდან, ცხვირიდან და ნაწლავებიდან, მას ჰემორაგიით მიმდინარე შავ წითელას უწოდებენ, გარდა ამისა გამოხატულია ჩივილები ცნს-სისტემის მხრიდან კერძოდ: მოუსვენრობა, ბოდვა, თავის ძლიერი ტკივილი, ღებინება გულის რევა, ცუდი კვების ბავშვებში არაიშვიათია შუა ყურის ანთება, ბრონქო პნევმონია, ფაღარათი. მოზრდილებში შეიძლება დაზიანდეს ღვიძლი და განვითარდეს სიყვითლეც კი, რომლის დროსაც მაღალია ლეტარული გამოსავალი. მძიმე გართულებების რიცხვს მიეკუთვნება თავის ტვინის ანთება, რომლის დროსაც სიკვდილიანობა 10-12% აღწევს ვარაუდობენ, რომ წითელას ვირუსმა შეიძლება გამოიწვიოს გაფანტული სკლეროზი.

3 თვემდე ახალშობილებში წითელა არ ვითარდება დედისგან შეძენილი პასიური იმუნიტეტის გამო, ორსულობის ადრეულ სტადიაში დედის წითელათი დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის დაავადება მასკლეროზებელი ენცეფალიტით. წითელას დიაგნოსტიკა ემყარება კლინიკურ და ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს, საიმედო და სადიაგნოსტიკო ტესტად კი ითვლება ვირუსის დადგენა პოლიმერაზულ-ჯაჭვური რეაქციის პჯრ მეშვეობით.

როგორც წითელა ასევე წითურაც ვირუსული დაავადებაა, მაგრამ მიმდინარეობა წითელასთან შედარებით სუსტია, გამოხატულია მსუბუქი ინტოქსიკაცია, ტემპერატურა 37. 5-ის ფარგლებშია, გამოხატულია ლიმფური კვანძები კეფისა და კისრის არეში. ადრე წითურა ითვლებოდა მსუბუქ დაავადებად მას შემდეგ რაც დადგენილ იქნა წითურას ვირუსის როლი ახალშობილთა მანკების და სიმახინჯეების ჩამოყალიბებაში მისადმი ინტერესი გაიზარდა, ჩატარდა არაერთი კვლევა, შეიქმნა წითურას საწინააღმდეგო ვაქცინა.

წითურას ინფექციის წყარო ადამიანია წითურათი დაავადებული, გადაცემის მექანიზმი ჰაერ წვეთოვანია, საკმარისია ავადმყოფთან ერთი მეტრის მანძილზე ერთ საათიანი ექსპოზიცია, რომ კონტაქტირებულს განუვითარდეს წითურა, ინტოსიკაციური მოვლენები გრძელდება მხოლოდ 2 დღე, შემდეგ იწყება გამოყრა სახეზე და უპირატესად კიდურებზე. წითურას გამონაყარი განსხვავებით წითელასაგან ლაქოვან კვანძოვანია და უხვად არ არის წარმოდგენილი, წითურას ნაადრევი სადიაგნოსტიკო ნიშანია კეფისა და კისრის უკანა არეში ლიმფური კვანძების გადიდება, რაც წითელასათვის დამახასიათებელი არ არის, ზოგ შემთხვევაში წითელა უსიმპტომოდაც მიმდინარეობს, რაც ქმნის ირგვლივ მყოფთა დაავადების საშიშროებას განსაკუთრებით ორსულ ქალებში, ორსულობის პირველ ტრიმესტრში ორსულის წითურას ვირუსით დაავადების შემთხვევაში გინოკოლოგების მიერ უნდა გადაიჭრას საკითხი ნაყოფის შენარჩუნება არ შენარჩუნების შესახებ, რადგან ახალშობილი დიდი ალბათობით დაიბადება დაავადებათა ტრიადით: კატარაქტით, სიყრუით, გულის მანკებით, მოზრდილ ასაკში შეიძლება განვითარდეს ასევე ნერვოლოგიური დარღვევები-ქცევის ბიჰევიორალური დარღვევა, მიკროცეფალია გონებრივი და ფიზიკური ჩამორჩენა.

აღწერილი დაავადებების წითელას და წითურას თავიდან აცილების ერთადერთი გზა ვაქცინაციაა. აშშ-ის ევროკავშირის და საქართველოს ერთობლივი ვაქცინაციის პროგრამით, გათვალისწინებულია წითელას და წითურას საწინააღმდეგო ვაქცინაცია 0-5 წლამდე ასაკის ბენეფიციართათვის ხოლო 15-40 წლამდე ასაკის პოპულაციის კი ეპიდ ჩვენების მიხედვით. ვაქცინაცია შეიძლება ასევე ჩაუტარდეს ინფექციის კერაში მყოფ ყველა კონტაქტირებულს მათი სურვილის შესაბამისად.

ჩვენი თხოვნაა წითელათი ან წითურათი დაავადების ან პირველივე სიმტომების გამოვლენისთანავე მიმართეთ უბნის პედიატრებს, ოჯახის ექიმებს, ინფექციონისტებს ჩაიტარეთ აუცილებელი ლაბორატორიული გამოკვლევები, დიაგნოსტირების მიზნით, წითელაზე და წითურაზე აუცრელებმა ან არასრულად აცრილებმა კი მიმართეთ აცრის კაბინეტებს ასაცრელად, რათა თავიდან აიცილოთ თქვენთვის და გარშემო მყოფთათვის ისეთი მძიმე დაავადებები, როგორიცაა წითელა და წითურა.

ქ. გრიგოლავა,
ექიმ-ინფექციონისტი,
იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელი

ძვირფასო მშობლებო!

გახსოვდეთ, რომ დროულად ჩატარებული აცრები ვაქცინაციით მართვადი დაავადებების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. თუ გსურთ თქვენი ბავშვები ჯანმრთელი გაიზარდონ, ნუ დააყოვნებთ, ჩაუტარეთ თქვენს პატარებს აცრების სრული კურსი.

გასვლითი კონცერტების ტრადიცია უნდა აღდგეს

სულმნათი ილია გვაფრთხილებდა; „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა წინაპართაგან... ენა,მამული,სარწმუნოება...ენას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს,ენის მტერი, ქვეყნის მტერიაო...”-ქართული ენა ხომ ფოლკლორის ღრმა ფესვებზეა დამყნობილი და ნასაზრდოები, იგი წარმოუდგენელია კუთხური დიალექტებისა და მეტყველების გარეშე, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ათას ქარცეცხლში გამოატარეს და დღემდის შემოგვინახეს.

როგორც იტყვიან, ცოდვა გამხელილი სჯობს: დაცარიელდა სოფელი და მდგომარეობა სავალალოა, ყველა ქალაქისაკენ ისწრაფვის და მიემართება. მიზეზი ათასგვარია, მაგრამ გამოსავალი ისევ ჩვენ, საზოგადოებამ, და მათ შორის, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებმაც უნდა მოვძებნოთ.

სწორედ ამ კუთხით წარმართავენ თავიანთ საქმიანობას სენაკის მუნიციპალიტეტის, მოს-

წავლე ახალგაზრდობის , კულტურის ცენტრისა და მასთან არსებული კულტურის სახლის თანამშრომლები.

აღსანიშნავია მათი უანგარო მოღვაწეობა, ისინი გზას უკაფავენ მომავალ თაობებს და გვაზიარებენ ჩვენი კუთხის ფოლკლორს, მის მადლს.

2018 წლის 7 თებერვალს, ძველი სენაკის კლუბში ჩატარდა ფოლკლორის საღამო,-„ ასე ჩონგური ქოვთქუათი”,რომელშიც მონაწილეობდა ფოლკლორული ანსამბლი - „ჯარგვალი” /ხელმძღვანელი ვახტანგ პაჭკორია/ .

ანსამბლი სულ რაღაც 2 წელია დაარსდა,კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღანელის ქ-ნ ინეზა ღვინჯილიას უდიდესი ძალისხმევითა და მონდომებით. ანსამბლის წევრები ნაყოფიერ და შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან. დაარსებიდან დღემდე განვლეს მნიშვნელოვანი ეტაპები, რამაც განაპირობა საზოგადოებაში საკუთარი, ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ასევე, ფოლკლორულ საღამოში მონაწილეობდა კულტურის სახლის ვოკალური ანსამბლი „გოგალაი„ /ხელმძღვანელი,ლალი გოგია/. ისინი სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და წარმოაჩინეს მეგრული ჰანგების ხიბლი და სინატიფე, რაც დღემდე ხიბლავს ქართველ მაყურებელს. საღამოს ლიტერატურულ ნაწილს უძღვებოდნენ სენაკის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ჯამბულ ჭანტურია და კულტურის სახლის სპეციალისტი ნინო გვასალია, მათ მაყურებლის წინაშე გააცოცხლეს მეგრული ფოლკლორი.

საღამოს ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი,ბ-ნი ვასილ ბესელია,აპარატის სპეციალისტები, ირმა კუპრეიშვილი და ლარისა გოგუა. სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, მუნიციპალიტეტის,თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე, ანსამბლების წევრთა გამორჩეული საშემსრულებლო ოსტატობით მოიხიბლა ძველი სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობა და დამსწრე საზოგადოება.

დასასრულს აღინიშნა, რომ კარგი იქნება მსგავსი გასვლითი კონცერტების ტრადიცია აღდგეს და დამკვიდრდეს ჩვენი ქალაქისა და სოფლის მუნიციპალიტეტებში.

ნანა ტყემაუჩავა,
კულტურის სახლის სპეციალისტი

14 თებერვალი–ვალენტინობა

სიყვარულისთვის სირთულეები არ არსებობს

რა არის სიყვარული? ამ კითხვაზე მახსენდება ნოდარ დუმბაძის სიტყვები:

„სიყვარული თავად არს ღმერთი და თუ სიყვარული შენთან არს, შენთან არს ღმერთი“.

სიყვარულის მარადისობაზე და ღირებულებებზე თავისებური წარმოდგენა აქვს ქალბატონ იზაბელა(ბელა) ხოფერიას-„სიყვარული მარადისობასთან წილნაყარი ღირებულებაა, ღვთიური მადლით ძალმოსილი, სიყვარული ის გრძნობაა, რომელსაც ჩვენ, ჩვენი სიტყვით, ხასიათით, საქციელით და ურთიერთგაგებით გამოვხატავთ და აქედან გამომდინარე გვიყვარდება.”

სწორედ ამგვარი სიყვარულის ძალამ დააკავშირა ერთმანეთს სენაკის სპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმ-თერაპევტი (ოჯახის ექიმი) ბელა ხოფერია და პოლიკლინიკის ექიმ-ტრამვატოლოგი ალექსანდრე (ღუტი) ხარებავა.

ქალბატონ ბელას ოქროს მედალზე აქვს დამთავრებული სენაკის № 1 საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სასწრაფო დახმარების ექიმად, ახალსოფლის უბნის ექიმად, 1981 წლიდან სენაკის სპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმ-თერაპევტია(ოჯახის ექიმი).

ალექსანდრე (ღუტი) ხარებავამ, სკოლა წალენჯიხაში დაამთავრა (ალექსნდრეს მამა შოთა ხარებავა წალენჯიხის რაიკომის მდივანი ყოფილა). სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა უჟგოროდის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. მუშაობდა სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ ნიჟნი ტაგილის საავადმყოფოში ექიმ –ტრავმატოლოგად. სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ მუშაობდა სასწრაფო დახმარების ექიმად, სენაკის სამხედრო ბაზაში ექიმ-ტრამვატოლოგად, ამჟამად შპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმ-ტრამვატოლოგია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

„ერთმანეთი 1978 წელს გავიცანით –გვიყვება ქალბატონი ბელა, ჩემი მომავალი მეუღლე ძალიან ყურადღებიანი იყო (დადებითი ადამიანური ღირსებებით შემკული,) რამაც რა თქმა უნდა გულგრილი არ დამტოვა მის მიმართ. ჩვენი ურთიერთობა თითქმის ერთ წელს გაგრძელდა. 1979 წელს დავქორწინდით(ტრადიციული წესების დაცვით და დღემდე ერთად ვართ. გვქონდა

რომანტიული საქორწინო მოგზაურობა სანკტ-პეტერბურგში(მაშინდელი ლენინგრადი). ეს იყო ენით აუწერელი, ულამაზესი დღეები ჩვენს ცხოვრებაში

არავის ცხოვრება არ არის ია-ვარდებით მოფენილი, რა თქმა უნდა არც ჩვენ ვართ გამონაკლისი, იყო სიძნელეებიც, წინააღმდეგობებიც, რომლის გადალახვაში რა თქმა უნდა მეხმარებოდა და მეხმარება ის დიდი სიყვარული, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს ურთიერთობას. სიყვარულისთვის ხომ სირთულეები არ არსებობს. 39 წლის მანძილზე ჩვენ ვისწავლეთ ერთმანეთისათვის ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა განსხვავებული შეხედულებები ერთი და იგივე საკითხებზე, ჩვენ პატივს ვცემდით ერთმანეთის აზრებს და ვიღებდით ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ორივესთვის სასურველი იქნებოდა. ჩემი აზრით ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. მეუღლე დღემდე მანებრივებს თავისი ყურადღებით, ეს შეიძლება იყოს ძვირადღირებული საჩუქარი ან კიდევ წვრილმანი რამე, მაგრამ დამეთანხმებით ალბათ, რომ ზოგჯერ საკარისია ერთი თბილი სიტყვა საყვარელი ადამიანისგან, რათა მთელი დღე სახეზე ღიმილიანმა იარო.

გამომდინარე იქიდან რომ მე და ჩემი მეუღლე ერთად ვმუშაობთ, გვყავს საერთო მეგობრები, ხშირად ვაწყობთ ოჯახურ ვახშამს და ასეთ შეხვედრები ალამაზებს ჩვენს ცხოვრებას”.

ჩვენს ურთიერთობას სხვაგვარი ელფერი შესძინა ქალიშვილის ინას დაბადებამ, შემდეგ კი შვილიშვილებმა ნინომ და სანდრომ გაგვახარეს ამ ქვეყნაზე მობრძანებით.”

ბელას და ალექსანდრეს ქალიშვილი ანა ხარებავა ინგლისური ენის სპეციალისტია, დამთავრებული აქვს სდასუ, მისი მეუღლე ოთარ ხეჩუმაშვილი შსს –ს თანამშრომელია, შვილები სანდრო და ნინი სკოლის მოსწავლეები არიან.

ვინც ქალბატონ ბელას იცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ ის ყოველთვის ლამაზად გამოიყურება, რომ იტყვიან „შესანიშნავ ფორმაშია”. კითხვაზე, თუ რა არის სილამაზის საიდუმლო, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქალი ყოველთვის ლამაზი და მომხიბვლელი იყოს-ქალბატონი ბელა გვპასუხობს: „საჭიროა დროის რაციონალურად განაწილება, ქალმა ყველაფერი უნდა მოასწროს, საკუთარი თავის მოვლა, შვილებზე და მეუღლეზე ზრუნვა, ბაზარში სიარული, სადილების კეთება, სახლის დალაგება და რაც მთავარია, ყველაფერ ამას შეუთავსოს სამსახური. ოჯახის წევრებს ძალიან მოსწონთ, როცა დიასახლისი ლამაზად, კოხტად გამოიყურება. პირადად ჩემთვის დილა იწყება საკუთარი თავის მოწესრიგებით, მიყვარს ხარისხიანი პარფიუმერია.”

ღირებულებები გადაფასდა, ახალგაზრდებს სხვანაირი შეხედულებები აქვთ სიყვარულზე, ოჯახზე. ჩვენი რესპონდენტი ურჩევს მათ: სიყვარული ყველაზე საჭირო და სასურველი გრძნობაა, მისი გაქრობა,

შვილიშვილები: ნინო და სანდრო

გადაშენება დედამიწის ზურგზე არანაირ ძალას არ შეუძლია, „თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ”. გიყვარდეთ ერთმანეთი. გქონდეთ ერთმანეთის მიმართ ნდობა, ურთიერთპატივისცემა, უნდა შეგეძლოთ დათმობაზე წასვლა, ერთმანეთის სიხარულისა და მწუხარების გაზიარება.... მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი ძლიერი და მტკიცე ოჯახის შექმნა.”

„კოლხეთის” რედაქცია დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს სიყვარულის დღეს და კარმომდგარ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს იზაბელას და ალექსანდრეს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, საყვარელ შვილთან და შვილიშვილებთან დიდი ხნის სიცოცხლეს უსურვებს!

ბელას და ალექსანდრეს 40 წლიანი თანაცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეთ ერთმანეთი, სიყვარული აძლიერებს საქორწინო უღელს, მიმზიდველს და რომანტიულს ხდის ცხოვრებას.

ძვირფასო ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი...გიყვარდეთ ისე, როგორც „აროდეს არვინ, არ ჰყვარებია არვის....”

მაია ბერგაია

ქორა სორდია

ენისა და პედაგოგიკის საკირბოროტო საკითხები

„რა დონეზეც ვაზროვნებთ, იმ დონეზე ვმეტყველებთ“ (ჟ. სორდია, საუბრები საღმრთო ისტორიისა და ქართველური ენების საჭირბოროტო საკითხებზე, ქუთაისი, 2012, გვ. 99).

არნ. ჩიქობავამ ბრძანა: „საზოგადოდ „მეტყველების კულტურა“ სუსტობს იქ, სადაც „აზროვნების კულტურა“ მოიკოჭლებს და, მაშასადამე, „მეტყველების კულტურისათვის“ ბრძოლა „აზროვნების კულტურისათვის“ ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია“ (არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 320).

„ქართული ენა ქართველი ერის ენაა. იგი უმთავრესი იარაღია კულტურისა, ძირითადი ფაქტორი და გამომხატველი ერის განვითარებისა, მისი შემოქმედებისა, ნაციონალური თვითშეგნებისა...

ქართულმა სალიტერატურო ენამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის კომპაქტურობის შენარჩუნებაში, ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. იგი იყო შემკრავი და შემადუღებელი მთელი ქართველობისა ისტორიული განვითარების პროცესში“ (შ. ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზები, თბ., 1986, გვ. 3-4).

ამიტომ ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა ერთიანი ენობრივი გარემოს შექმნა მშობლიური ენის სწორმეტყველების (წერითისა და ზეპირის) დამკვიდრებისათვის. ამ მხრივ კი ბევრია გასაკეთებელი, რის გამოც ჯერ კიდევ (დიდი ხნის წინათ) ბ-ნმა რ. შამელაშვილმა სწორად შენიშნა: „ქართული ენის დამახინჯების ფაქტები გვხვდება საზოგადოებრივი ცხოვრების – საქმის დოკუმენტებში, ოფიციალურ ცნობებში, განცხადებებში, საგაზეთო სტატიებში, მეცნიერულ-პუბლიცისტურ წერილებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში...“ (რ. შამელაშვილი, მეტყველების კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980, გვ.3).

დიახ, ეს ასეა: მშობლიური ენის დამახინჯების ფაქტები არცთუ იშვიათად შეინიშნება, რომელთაგან ამჯერად წარმოვადგენთ რამდენიმეს (წერილის მოცულობის განსაზღვრულობის გამო). ესენია:

- სენაკში გავრცელებული ენობრივი დარღვევები. პროგრამირება (დაპროგრამება), ავტო ნაწილები//ავტო-ნაწილები (ავტონაწილები), აგრო სესხი//აგრო-სესხი (აგროსესხი), შხამ ქიმიკატები//შხამ-ქიმიკატები (შხამქიმიკატები), პროექტირება (დაპროექტება), განვადება წლიანი გარანტიით (ჩვენ ასე ვიტყვით: ნისია ერთწლიანი პირობით), ტექნიკური მომსახურეობა (ტექნიკური მომსახურება).

გამორჩევით აღვნიშნავთ: ქ. სენაკში რამდენიმე ბანერი „დამშვენებულია“ ასეთი მცდარი წარწერით: „ეკის „ნათლისმცემლის“ (ჩვენ დავწერდით ასე: „იოანე ნათლისმცემლის“) სამონასტრო კომპლექსი IX-Xსს.... მიმდინარეობს სარეაბილიტაციო (სტილურად ასე სჯობს: „აღდგენითი“) სამუშაოები.“ ამიტომ მოვიხმობთ ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეულის განმარტებას: „რეაბილიტაცია (ლათ. რეჰაბილიტაციო) და რეაბილიტირება – 1. უსაფუძვლოდ შელახული ღირსების, პატიოსანი სახელის აღდგენა. 2. ჩამორთმეულ უფლებათა აღდგენა“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1973, გვ. 347).

დავსძენთ: რეაბილიტაცია უსულო საგნებთან დაკავშირებით არ ითქმის.

აღნიშნულის საფუძველზე დავასკვნით: უნდა ვთქვათ და ვწეროთ (ჩვენს შემთხვევაში) არა „რეაბილიტაცია,“ არამედ –„აღდგენა“ („აღდგენითი სამუშაოები“ და არა – „სამუშაოთა რეაბილიტაცია“).

შენიშვნა: 1. სიტყვებსა და სიტყვა-გამოთქმებს კომენტარები არ ახლავს (წერილის მოცულობის განსაზღვრულობის გამო).

2. ხაზგასმული სიტყვების დაწერილობა უსწოროა, ფრჩხილებში ჩასმული კი – სწორი.

- ქართულში საყოველთაოდ გავრცელებული უცხოური ლექსიკური ერთეულები. „თუ ენაში მოიძებნება ან შეიძლება ვაწარმოოთ ენაში არსებულ სიტყვათაგან უცხოური სიტყვით გამოხატული ცნების აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ სესხება გაუმართლებელია“ (ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბ., 1981, გვ.38). მაგრამ განუსაზღვრელი სიხშირით არცთუ იშვიათად შემოაქვთ უცხოური სიტყვები და სიტყვა-თქმანი, რომელთაგან წარმოვადგენთ რამდენიმეს: ბერკეტი (საფუძველი//საბუთი), ავთენტიკური (ნამდვილი//სარწმუნო//პირველ წყაროზე დაფუძნებული), პერიპეტია (უეცარი ცვლილება), პრელუდია (დასაწყისი//შესავალი), კონტაქტი (კავშირი//ურთიერთობა), ინვესტიცია (კაპიტალდაბანდება), კონსესუსი (თანხმობა), სეპარაცია (გამოყოფა), ნომინაცია (დასახელება), გალაკონცერტი (დიდი კონცერტი), რენეგატი (მოღალატე//განდეგილი), სპიკერი (თავმჯდომარე), აჟიოტაჟი (აურზაური), ანონსი (მოკლე წინასწარი განაცხადი), კარდინალური (ძირითადი//უმთავრესი//უმნიშვნელოვანესი), კომპლიმენტი (ქათინაური//მაამებელი თქმა), კონსპირაცია (შეთქმულება//ფარული მოქმედება), კურიერი (შიკრიკი), დეფექტი (ნაკლი), შეფი (ხელმძღვანელი//უფროსი), პერმანენტული (მუდმივი//განუწყვეტელი), რადიკალური (უკიდურესი), ბიზნესმენი (საქმოსანი), კულინარია (სამზარეულო), დელიკატური (თავაზიანი//ზრდილობიანი//წინდახედული), ლიდერი (მეთური// ხელმძღვანელი//უფროსი), კორექტული (რიგიანი//ზრდილობიანი).

მოკრძალებით ვიტყვით, რომ ქართულის (და, საერთოდ, ნებისმიერი დისციპლინის) სწავლება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ დგას თანამედროვე ლინგვისტიკურ-მეთოდიკური მეცნიერების გაზრდილ მოთხოვნათა დონეზე. ვამბობთ, რომ ვერ დგას, მაგრამ რატომ? რა გავაკეთოთ?

ჯერ ერთი: ზოგიერთი სკოლა (ძველი ტერმინით რომ ვთქვათ, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, თანამედროვე სახელწოდებით კი – საჯარო), სადაც საფუძველი ეყრება ქართული ენის სწორმეტყველების (ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მეტყველების კულტურის) საკითხების (და, საერთოდ, მეცნიერებათა საფუძვლების) შესწავლას, ვიცით, რომ ვერ დგას სასურველ დონეზე. ამის თქმას იმიტომ ვბედავთ, რომ თანამედროვე სკოლამ, სამწუხაროდ, დაკარგა პატივისცემა პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურ (შეგვიძლია ასედაც ვთქვათ: „პედაგოგიკურ-მეთოდიკურ“, ან კიდევ ასე: „ფსიქოლოგიურ-მეთოდიკურ“) მეცნიერებათა. ამიტომ მასწავლებელს ვერ ძალუძს მიზანმიმართულად გამოიყენოს სწავლების გზები, მეთოდები, ხერხები (ანუ საშუალებანი), პრინციპები (თვალსაჩინოების, შეგნებულობისა და აქტიურობის, მისაწვდომობის, სისტემატურობისა და ცოდნის განმტკიცების), დიდაქტიკის მოთხოვნები – ნაცნობიდან უცნობისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, ადვილიდან ძნელისაკენ, ახლობლიდან შორეულისაკენ გადასვლა. . . უფრო მეტიც: სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სკოლებში ვერ ხდება ქართულში შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ მეტყველებაში გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევათა გამომუშავება – ავტომატიზება.

შენიშვნა: მკითხველთა ფართო წრესაც კი აინტერესებს, არის თუ არა „ზოგადი უნარები“ („ზოგადი უნარ-ჩვევები“) საგანი. ამიტომ მოკლედ წარმოვადგენთ ასეთ ინფორმაციას:

წლების მანძილზე მაშინდელ სამხრეთ-ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვკითხულობდით ლექციებს საენათმეცნიერო ციკლის საგნებსა და ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში.

მეთოდიკის ლექციებზე სტუდენტთათვის მრავალგზის მიგვიწოდებია საკითხთან დაკავშირებით ასეთი ინფორმაცია: თეორიულად შეძენილი ცოდნის განმტკიცება-გაღრმავებისა და პრაქტიკულ მეტყველებაში გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევათა გამოსამუშავებლად აუცილებელია საილუსტრაციოდ შერჩეულ ნიმუშებზე მიზანმიმართული ვარჯიშობა.

ისტორიაში, გეოგრაფიაში, ქიმიაში, მათემატიკასა და, საერთოდ, ყველა საგანში თეორიულად შეძენილი ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებისა და პრაქტიკულად გამოყენებისათვის აუცილებელია მოსწავლეებს გამოვამუშავებინოთ უნარ-ჩვევები.

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)